პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

22 აგვისტო, სამშაბათი, 1961 წ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

№ 126 (1762)

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის 30-18 წელი.

ფასი 2 კაპ.



## რ. აბჟანდაძის კარგი სტარტი

მოსკოვის ლენინის სახელობის სტადიონის ჩოგბურთის კორტებზე დაიწყო ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი 12 ქვეყნის უძლიერეს სპორტსმენთა მონაწილეობით.

შეჯიბრების პირველ დღეს წარმატებას მიაღწია საქართველოს წარმომადგენელმა რენა აბჟანდაძემ. მან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჩემპიონ იოჰანესთან შეხვედრის დროს მაღალი სპორტული ბრძოლისუნარიანობა გამოამჟღავნა და პირველ პარტიაში დამარცხების მიუხედავად (2:6) შეძლო მნიშვნელოვანი გამარჯვების მოპოვება — 2:1, (2:6, 6:4, 6:1).

ამ დღეს გამარჯვებები მოიპოვეს ი. რიაზანოვამ, თ. ლეიუსმა და მ. მოზერმა, რომელმაც დაამარცხა ავსტრიის უძლიერესი ჩოგბურთელი პაპორნე. წყვილთა შეხვედრაში ლეიუს — პოტანინმა სძლია ბუტლო-აბდელსალემს (საფრანგეთი).

სურათზე: რ. აბჟანდაძე.

## ორი რეკორდი

ლოს-ანჯელოსში ამერიკის შეერთებული შტატების მოცურავეთა ჩემპიონატში სტივ კლარკმა დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი 100 მ ნებისმიერი სტილით ცურვაში — 54,4 წ.

* * *

ვარშავაში პოლონელმა სტუდენტმა ედმუნდ პიონტკოვსკიმ გააუმჯობესა ევროპის რეკორდი ბადროს ტყორცნაში. მისი შედეგია 60 მ. 47 სმ., რაც 9 სმ ნაკლებია ამერიკელ ჯ. სილვესტრის მსოფლიო რეკორდზე.



# თბილისიდან ბაქო!

მართალია, სპორტის ყველა სახეობაში შეჯიბრებები არ დამთავრებულა, მაგრამ ჩატარებულ შეხვედრათა შედეგების მიხედვით საქართველოს რესპუბლიკის ფეხბურთელები, მოჭადრაკე გოგონები, ფრენბურთელი ჭაბუკები და გოგონები, მაგიდის ჩოგბურთელი გოგონები, წყალბურთელები და კალათბურთელი გოგონები ფინალში უკვე გავიდნენ ან გასვლის უეჭველი პრეტენდენტები არიან.

ახლა ვილაპარაკოთ იმაზე, თუ როგორ მიმდინარეობს შეჯიბრებები ცალკეულ სახეობებში.

### ფეხბურთი

საქართველოს ფეხბურთელთა გუნდმა ქვეჯგუფში უკანასკნელი შეხვედრა ჩაატარა ლატვიელებთან. თამაშის პირველი ნახევარი ჩვენი რესპუბლიკის ფეხბურთელთა უპირატესობით აღინიშნა და დამთავრდა მათივე გამარჯვებით —2:0. ბურთები გაიტანეს ა. ასანიძემ და ტ. ვერულიძემ. მეორე ნახევარში ჩვენებმა თამაში მოადუნეს და თავის კარში ორი საპასუხო ბურთი მიიღეს — ფრე 2:2. მხოლოდ ამის შემდეგ გამოცოცხლდნენ ჩვენები და ცენტრალურმა თავდამსხმელმა ჯ. ხერხაძემ ორი ბურთი გაიტანა. მატჩი დამთავრდა ქართველ ფეხბურთელთა სასარგებლოდ — 4:2.

საფინალო ჯგუფში გავიდნენ საქართველოს, აზერბაიჯანის, მოსკოვის, ლენინგრადის, ლიტვისა და უკრაინის გუნდები. ფინალში ჩვენებმა 4 შეხვედრა უნდა ჩაატარონ (აზერბაიჯანელებთან ქვეჯგუფში ითამაშეს და ფინალში აღარ შეხვდებიან).

საქართველოს ფეხბურთელებმა ფინალში პირველი თამაში მოსკოვის გუნდთან ჩაატარეს. თამაშის პირველ ნახევარში ქროდა ძლიერი ქარი და მოსკოველებმა შეძლეს ერთი ბურთის გატანა ჩვენს კარში. მეორე ნახევარში შეტევა ჩვენმა ფეხბურთელებმა დაიწყეს და თამაშის დასასრულს ნ. მაისურაძისა და რ. ისიანის გატანილმა ბურთებმა გამარჯვება ქართველ ფეხბურთელთა კოლექტივს მოუტანა.

ფინალში წაგება არა აქვთ საქართველოს, აზერბაიჯანისა და უკრაინის გუნდებს, რომლებსაც 3-3 ქულა გააჩნიათ.

### ჭადრაკი

მეოთხე ტურში საქართველოს მოჭადრაკე გოგონები და ჭაბუკები შეხვდნენ ყაზახეთის მოჭადრაკეებს. ჭაბუკებმა თამაში მოიგეს ანგარიშით 4:0, ერთი პარტია გადადებულია. გოგონებმა მოიპოვეს მორიგი გამარჯვება — 1,5:0,5.

მეხუთე ტურში ლიტვის მოჭადრაკეებთან შეხვედრაში ჩვენმა ვაჟებმა თამაში შეწყვიტეს, როცა ანგარიში იყო 2,5:0,5 ჩვენს სასარგებლოდ; 2 პარტია გადადებულია.

გოგონებმა თავიანთი შეხვედრა ლიტველებთან ფრედ დაამთავრეს — 1:1. ამგვარად, მოჭადრაკე გოგონათა გუნდი ფინალში გავიდა. ვაჟთა ფინალში გასვლის საკითხი გაირკვევა გადადებული პარტიების დამთავრების შემდეგ.

### მაგიდის ჩოგბურთი

გუნდური პირველობა დაიწყო 19 აგვისტოს. შეჯიბრება ტარდება ნახევრადოლიმპიური სისტემით. ვაჟთა გუნდმა მეთექვსმეტედფინალში ანგარიშით 5:0 მოუგო სომხეთის გუნდს. მერვედფინალში საქართველოს სპორტსმენთა კოლექტივს თამაში ჰქონდა მოსკოვის ძლიერ გუნდთან. ჩვენები დამარცხდნენ 3:5. საქართველოს ჭაბუკთა გუნდი ახლა მხოლოდ იმ ჯგუფში ითამაშებს, სადაც მეხუთე-მეექვსე ადგილებს გაინაწილებენ.

გოგონათა გუნდმა პირველი შეხვედრა ჩაატარა ბელორუსიის ნაკრებთან და მოიგო — 5:4. ასეთივე ანგარიშით მოუგეს მათ მოსკოვის ნაკრებს. ამ შეხვედრის დროს იყო მომენტი, როცა ჩვენები აგებდნენ—3:4, მაგრამ გუნდის წევრებმა მ. პარფენიდიმ და ქ. ხურშუდიანმა დაამარცხეს ევროპის არაოფიციალური პირველობის ჩემპიონები ბელოცერკოვსკაია და რუდნოვა. ჩვენი გოგონები ნახევარფინალში შეხვდებიან აზერბაიჯანელებს.

### ფრენბურთი

ფრენბურთელთა ტურნირი გრძელდება. საქართველოს სპორტსმენები კვლავ დაუმარცხებლად ამთავრებენ შეხვედრებს. მორიგ ტურში ჭაბუკებმა მოუგეს სომეხ ფრენბურთელებს — 3:1, ასეთივე ანგარიშით გაიმარჯვეს გოგონებმა რსფსრ-ს ფრენბურთელებზე.

გუშინ ჩვენმა ფრენბურთელმა გოგონებმა დაძაბულ ბრძოლაში ძლიეს უზბეკ სპორტსმენებს — 3:2. ამ გამარჯვებით ისინი წაუგებლად გავიდნენ ფინალში, რომელშიც ექვსი გუნდი მიიღებს მონაწილეობას.

### წყალბურთი

ჩვენმა წყალბურთელებმა ამჯერადაც არ უღალატეს ტრადიციას და კვლავ დიდი ანგარიშით მოიპოვეს გამარჯვება. ამჯერად მათი „მსხვერპლი" აღმოჩნდა ყაზახეთის წყალბურთელთა კოლექტივი — 9:1.

### კალათბურთი

ქვეჯგუფში უკანასკნელის წინა თამაშში ჩვენმა კალათბურთელებმა სიხარულიც მოგვიტანეს და წუხილიც. ჯერ არ ვიცით რა მოხდება ფინალში, მაგრამ ცხადია ჩვენი კალათბურთელი გოგონები ქვეჯგუფის უკანასკნელი შეხვედრის შედეგის მიუხედავად ფინალში გავლენ. გოგონები მეოთხე ტურში შეხვდნენ რსფსრ-ს კალათბურთელებს. თავიდანვე რსფსრ-ს გუნდმა კარგი ტემპი აიღო და მეორე ნახევრის დასაწყისისათვის 9 ქულით იყო წინ — 19:10. მეორე ნახევარში ჩვენებმა თამაშში გარდატეხა შეიტანეს და მატჩი მოიგეს 37:27.

ვაჟებმა წააგეს მოსკოველებთან — 44:67 და დაკარგეს ფინალში გასვლის შესაძლებლობა. ახლა ისინი VII-XII ადგილებისათვის იბრძოლებენ.

ჯ. ენუქიძე,
ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.

* * *

სურათზე: საქართველოსა და ესტონეთის ჭაბუკ კალათბურთელთა შეხვედრის მომენტი.

ფოტო ფ. რაჯაბლისა.

## ორი სახეობის შედეგ

მოსკოვში დაიწყო მსოფლიო ჩემპიონატი თანამედროვე ხუთჭიდში, რომელშიც 16 ქვეყნის 43 უძლიერესი სპორტსმენი იღებს მონაწილეობას.

შეჯიბრების პირველი დღე არახელსაყრელი გამოდგა ხუთჭიდელებისათვის: კოკისპირული წვიმა და ძლიერი პირქარი ერთი-ორად აძნელებდა საცხენოსნო კროსის ისედაც რთულ ტრასას.

კენჭისყრამ სტარტი პირველად ფინელ ტაპიოს ალებინა. მან საკმაოდ კარგად . გაიარა ტრასა და 948 ქულა დააგროვა. მომდევნო სპორტსმენებმა ვერ შეძლეს მისი გაუმჯობესება, მაგრამ ტრასაზე გავიდა მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი ი. ნოვიკოვი და როცა ოცდაერთივე დაბრკოლების გადალახვის წამზომებმა 7.11,7 წუთი აღნიშნეს, მის გამარჯვებაში ეჭვი აღარავის ეპარებოდა — 1076 ქულა, მით უმეტეს, რომ ჩემპიონობის ერთ-ერთმა ფავორიტმა ბ. პახომოვმა 4,1 წამით უარესი შედეგი აჩვენა, ხოლო უნგრელმა ფ. ნემეტმა ადრევე მიიღო ტრავმა და შეჯიბრებას გამოეთიშა.

თითქოს ყველაფერი გადაწყვეტილი იყო, რომ ავსტრიელმა ლეიტენანტმა პეტერ ლიხტნერ ჰოენმა მსაჯთა და მაყურებელთა ყოველგვარი პროგნოზები დაამსხვრია: მან დისტანცია 6.59,6 წუთში გაიარა და 1124 ქულით პირველი ადგილი დაიკავა.

თუ პირადი პირველობა უცხოელმა მოიგო, გუნდურ შეჯიბრებაში, უდავო იყო საბჭოთა ხუთჭიდელების უპირატესობა დანარჩენ მეტოქეებზე. მათ 3130 ქულა დააგროვეს და მნიშვნელოვნად გაუსწრეს მეორე ადგილზე გასულ ფინელ სპორტსმენთა კოლექტივს.

ჩემპიონობისათვის მებრძოლ ლიდერთა ჯგუფში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა შეჯიბრების მეორე დღეს: ავსტრიელი პეტერ ლიხტნერ ჰოენი საკმაოდ სუსტი მოფარიკავე აღმოჩნდა და უკანა რიგებში გადავიდა მაშინ, როცა ი. ნოვიკოვმა გამარჯვებათა ყველაზე მეტი რაოდენობა (28) მოიპოვა და ორი დღის შეჯიბრების შედეგად მეორედან პირველ ადგილზე გადაინაცვლა — 1980 ქულა.

შეჯიბრება გრძელდება...

## კიდევ ორი ტური

მსოფლიო პირველობის მარიანსკი ლაზნეს ზონალურ ტურნირში გათამაშდა კიდევ ორი ტური და მოეწყო ყველა გადადებული პარტიის დამთავრება.

IX ტურის შემდეგ გროსმაისტერებს ოლაფსონს (ისლანდია) 9,5 ქულა აქვს, ფილიპს (ჩეხოსლოვაკია) და ულმანს (გდრ) — 9 ქულა თვითეულს, ისტატებს ჩირიჩს (იუგოსლავია), გიცესკუს (რუმინეთი) და იოჰანსენს (ნორვეგია) — 6,5 ქულა თვითეულს. გროსმაისტერ საბოს მხოლოდ 5,5 ქულა აქვს.

ჩეხოსლოვაკიისა და ბულგარეთის საჭადრაკო მიმომხილველები ფიქრობენ, რომ საზონათშორისო ტურნირში ოლაფსონის, ულმანისა და ფილიპის მოხვედრა თითქმის ეჭვს არ იწვევს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერთიანი საკავშირო სპორტული კლასიფიკაცია
## 1961-1964 წლებისათვის

★ ★ ★ ★

## ვაჟები და ქალები

ტურისტებს, რომლებსაც აქვთ ტურიზმის ინსტრუქტორის კვალიფიკაცია, ეთვლებათ ნორმატივების შესრულება შედგენილი ლაშქრობების ხელმძღვანელობაში.

სათანრიგო ნორმატივების შესრულების პირობები:

1. მოგზაურობა სათანრიგო ნორმატივის შესრულებისათვის ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ იგი ჩატარდა შვებულების (არდადეგების) დროს ტურისტული მიზნით, შემდეგი ძირითადი მოთხოვნების დაცვით:

ა) სამშობლო მხარის გაცნობა (ლაშქრობის რაიონის ისტორიული წარსულის, კულტურისა და ეკონომიკის გაცნობა, არქიტექტურული და ისტორიული ძეგლების დათვალიერება, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მუზეუმებისა და სხვა დაწესებულებების ნახვა).

ბ) საზოგადოებრივ-სასარგებლო მუშაობა გზაში (სამეცნიერო დაწესებულებებისა და მუზეუმების დავალებათა შესრულება, დასალაშქრავი რაიონის დაწვრილებითი აღწერა, ლექციების კითხვა ადგილობრივი მოსახლეობისათვის და სხვ.).

2. მოგზაურობა უნდა სრულდებოდეს „საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მოქმედი ტურისტული ლაშქრობების ორგანიზაციის წესების" მოთხოვნათა შესაბამისად.

**სპორტის ოსტატი** — ნორმა ეთვლება ჩასათვლელი ლაშქრობების შესრულებისათვის საბჭოთა კავშირის არანაკლებ ოთხ გეოგრაფიულ რაიონში; ამასთან უნდა ჰქონდეს უმცროსი ინსტრუქტორის წოდება ტურიზმის არჩეულ სახეობაში;

**I თანრიგი** — ეთვლება ჩასათვლელი ლაშქრობების შესრულებისათვის საბჭოთა კავშირის არანაკლებ ორ გეოგრაფიულ რაიონში.

**III თანრიგი** — ეთვლება თუ აქვს „საბჭოთა კავშირის ტურისტის" ნიშანი.

**ჭაბუკთა I თანრიგი** — ეთვლება თუ აქვს „ტურისტის" ნიშანი.

**შენიშვნა:** 1. შედგენილი ლაშქრობა შედგება უქმე და სადღესასწაულო დღეებში ჩატარებული რამდენიმე ლაშქრობისაგან. შედგენილი ლაშქრობა უნდა აკმაყოფილებდეს მოგზაურობის I კატეგორიის სიძნელის მოთხოვნებს.

2. საზაფხულო მოგზაურობები შესრულებული ფეხით, ნავით, ბაიდარით, ტივით ან ველოსიპედით შეიძლება შეცვლილი იქნას იმავე კატეგორიის სიძნელის ზამთრის (თხილამურებით) მოგზაურობებით.

ზამთრის მოგზაურობა შეიძლება შეცვლილი იქნას ზაფხულის ერთი კატეგორიით მაღალი სიძნელის მოგზაურობით. სულ დასაშვებია არა უმეტეს ორი შეცვლა; მასთან თვითეული სხვადასხვა თანრიგში.

3. უთოვლო ზამთრის რაიონებში პირველი კატეგორიის სიძნელის სათხილამურო მოგზაურობის ნაცვლად შეიძლება ჩატარდეს პირველი კატეგორიის სიძნელის მოგზაურობა ფეხით.

4. მეორე და უფრო მაღალი თანრიგების შესრულებისას პირველი კატეგორიის სიძნელის სამთო-ფეხით გადასავალ მოგზაურობაში მონაწილეობა შეიძლება შეიცვალოს, თუ მას აქვს „საბჭოთა კავშირის ალპინისტის" ნიშანი, ხოლო მეორე კატეგორიის სიძნელის სამთო-ფეხით გასავლელ მოგზაურობაში მონაწილეობა — თუ მას აქვს ალპინიზმში მესამე თანრიგი.

5. მოგზაურობის დასასრულს წარდგენილი საანგარიშო დოკუმენტი (მარშრუტის ხასიათი, ფორმა, სიდიდე) განისაზღვრება სამარშრუტო-საკვალიფიკაციო კომისიის მიერ წესების შესაბამისად.

— I კატეგორიის მოგზაურობა: მარშრუტის პასპორტი და ზეპირი ანგარიშგება.

— II კატეგორიის მოგზაურობა: წერითი ან ზეპირი ანგარიშგება.

— III კატეგორიის მოგზაურობა: წერითი ანგარიშგება.

## ტურიზმი

### სათანრიგო მოთხოვნები

| ლაშქრობა / თანრიგი | შეასრულოს შემდეგი მოგზაურობანი: I კატეგორიის სიძნელის — ზაფხულში | | ზამთარში | | შედგენილი | | II კატეგორიის სიძნელის — ზაფხულში | | ზამთარში | | III კატეგორიის სიძნელის — ზაფხულში | | ზამთარში | საკვალიფიკაციო მოგზაურობანი | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მონ.* | ხელ.** | მონ. | ხელ. | მონ. | ხელ. | მონ. | ხელ. | მონ. | ხელ. | მონ. | ხელ. | მონ. | ხელ. | |
| სპორტის ოსტატი | 1 | 1 | 1 | 1 | 5 | — | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 17 |
| I | 1 | 1 | 1 | 1 | 3 | — | 1 | 1 | 1 | — | 1 | — | — | — | 11 |
| II | 1 | 1 | 1 | — | 2 | — | 1 | — | 1 | — | — | — | — | — | 7 |
| III | 1 | — | 1 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 2 |
| ჭაბუკთა I | 1 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 1 |

* მონ.— მონაწილე

** ხელ.—ხელმძღვანელი

### ქალაქებსა და რაიონებში

#### თბილისი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობას მიუძღვნეს გაერთიანებული სპარტაკიადა 26 კომისრის და კალინინის სახელობის მექანიკური ქარხნების სპორტსმენებმა.

ამ ორი კოლექტივის მუშა-ახალგაზრდობის დამეგობრებაში თვალსაჩინო როლი ითამაშეს ინსტრუქტორ-მეთოდისტებმა მ. კაპანაძემ და დ. რობაქიძემ, რომელთა აქტიური მუშაობით სპარტაკიადაში 174 კაცმა მიიღო მონაწილეობა.

სპორტის რვა სახეობაში შეჯიბრების შედეგად პირველობა მოიპოვა 26 კომისრის სახელობის ქარხნის კოლექტივმა.

**ი. ეკიზაშვილი**

#### ბორჯომი

ბორჯომის სპორტკავშირის ინიციატივით მოეწყო პიონერთა ბანაკების ფიზკულტურელთა საზაფხულო სპარტაკიადა, რომელშიც შვიდი კოლექტივის 165 დამსვენებელმა მიიღო მონაწილეობა.

სპარტაკიადაზე საერთო გუნდური პირველობა მოიპოვა ცემის კიროვის სახელობის პიონერთა ბანაკის ფიზკულტურელთა კოლექტივმა. მომდევნო ადგილებზე არიან ბაკურიანის, ტყიბულის ქვანახშირის ტრესტისა და ამიერკავკასიის რკინიგზის წიაღვერში არსებული პიონერთა ბანაკების ფიზკულტურული კოლექტივები.

**ლ. კურტანიძე**



წლების ხიმძიმეს მხრებში მოუხრია, მაგრამ ვერ გაუტეხია ჯერ კიდევ ახალგაზრდული ენერგიის მქონე ს. საყვარელიძე, რომლის ცხოვრება განუყრელადაა დაკავშირებული ფარიკაობის განვითარებასთან ჩვენს რესპუბლიკაში.

ათეული წლების მანძილზე იგი ზეხტაფონელ სპორტსმენთა სახით ღირსეულ კანდიდატებს აძლევს საქართველოს ნაკრებს. მისი მოღვაწეობა მხოლოდ მოზრდილი სპორტსმენების წვრთნით არ იფარგლება; იგი უფრო შორს იხედება და ცდილობს უმცროს ასაკშივე შეაყვაროს ეს საყვარელი სპორტი ბავშვებს.

სურათზე აღბეჭდილია ს. საყვარელიძე ნორჩ მოფარიკავეებთან ვარჯიშის დროს.

## პირველი გამარჯვებულნი

მაყურებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია თბილისის ზღვაზე ახლახან ჩატარებულმა დედაქალაქის სპორტსმენთა პირადი პირველობის გათამაშებამ სკუტერების რბოლაში.

მსგავსი შეჯიბრება ჯერ არ ჩატარებულა თბილისში და ასპარეზობაში მონაწილე თვითეული სპორტსმენი ყოველ ღონეს ხმარობდა პირველი გამარჯვებულის სახელის მოსაპოვებლად.

250 კუბური სანტიმეტრის მოტორიანი სკუტერებით შეჯიბრებაში პირველობა მოიპოვა მეორეთანრიგოსანმა სპორტსმენმა გ. გურიშიძემ, რომელმაც ერთკილომეტრიანი დისტანცია შესანიშნავი სისწრაფით განვლო და საგრძნობლად ჩამოიტოვა მოწინააღმდეგენი. მისივე გამარჯვებით დამთავრდა შეჯიბრება 10 კილომეტრზე რბოლაშიც.

175 კუბური სანტიმეტრის მოტორიანი სკუტერებით შეჯიბრებაში ორივე დისტანციაზე პირველობდა თბილისის საზღვაო კლუბის წევრი ვ. ტერ-გრიგორიანი.

**ლ. ბუხაძე,**
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

## შეასრულეს თანრიგები

კვების მრეწველობის პროფკავშირების სურამის პიონერთა საცურაო აუზში ჩატარდა ხაშურის რაიონის ტერიტორიაზე მდებარე პიონერთა ბანაკების ფიზკულტურელთა პირად-გუნდური პირველობა ცურვაში, რომელშიც 9 ბანაკის 67 პიონერმა მიიღო მონაწილეობა. შეჯიბრება ჩატარდა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით 25 და 50 მეტრზე ცურვაში.

უმცროსი და უფროსი ასაკის ვაჟთა შორის შესაბამისად გაიმარჯვეს ნ. ქოლობოვმა (რუსთავის მეტალურგიული ქარხნის სურამის პიონერთა ბანაკი) და კ. ვოშაძემ (ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილების პიონერთა ბანაკი).

უმცროსი ასაკის გოგონებიდან (უფროს ასაკში შეჯიბრება არ ჩატარებულა) პირველი ადგილი დაიკავა ო. ნარსიამ (ადგილმრეწველობის ქვიშხეთის პიონერთა ბანაკი).

შეჯიბრებაზე გუნდური პირველი ადგილი მოიპოვა კვების მრეწველობის პროფკავშირის სურამის პიონერთა ბანაკის მოცურავეთა კოლექტივმა.

აღსანიშნავია, რომ შეჯიბრებაზე 8 პიონერმა შესძლო ჭაბუკთა II თანრიგის ნორმატივის შესრულება.

**შ. სამადაშვილი**



პარტიის XXII ყრილობას ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში ხვდებიან დიდი შრომითი აღმავლობით.

• • •

**სურათზე:** თბილისის ქარხანა „ელექტროვამშვების" ტვირთების მოწინავე რიგებელი, საწარმოს ფეხბურთელთა გუნდის წევრი ა. მჭედლიძე, რომელიც გადაჭარბებით ასრულებს აღებულ ვალდებულებებს.

ფოტო ვ. გოგაძისა.

# მეორე წრის პირველი მატჩი



69:54

## „დინამო" (თბილისი) — ს კ ა (რიგა) — 69:54 (39:31)

შეხვედრის პირველი ნახევრის დამთავრების შემდეგ ჩვენ შევეს-წარით რიგის არმიელთა გუნდის მწვრთნელის ა. გომელსკის საუბარს თავისი კოლექტივის წევრებთან. იგი შესამჩნევად ნერვიულობდა, თუმცა ამის საბაბი მას წესით არ უნდა ჰქონოდა. არმიელებმა თბი-ლისის „დინამოსთან" კალენდა-რული შეხვედრის პირველი ნახე-ვარი თავის სასარგებლოდ დაამ-თავრეს და ახლა მოუთმენლად ელოდნენ მეორე ოცი წუთის დაწ-ყებას. სტუმრები საბრძოლველად იყვნენ განწყობილნი, მაგრამ მწვრ-თნელის ნერვიულობაში ისინი ხი-ფათის რაღაც მოლოდინს გრძნობ-დნენ.

—არ აჰყვეთ დინამოელებს,—მეა-ხედ გაუმეორა მან სპორტსმენებს და შემდეგ ჩვენ მოგვიბრუნდა, — ძნელია „დინამოს" წინააღმდეგ ბრძოლა, თუ მას მიეცი თამაშის საშუალება. ჩვენ ყველაფერი გავა-კეთეთ იმისათვის, რომ დასაწყის-შივე მოგვეპოვებინა ინიციატივა, თუმცა პირველი ნახევრის ბოლო წუთებში დაგვერღვა „სტატუს ქვო". თუ მეორე ნახევარში ვერ აღვად-გინეთ იგი, შეხვედრას წავაგებთ.

მწვრთნელის შიში არ იყო სა-ფუძველს მოკლებული, რადგან სხვებზე უკეთ მოახლოვებული გარდატეხის აუცილებლობას იგი გრძნობდა. მართლაც, რიგელებმა თავიანთი შესაძლებლობათა მაქსი-მუმი შეხვედრის პირველ ნახევარ-ში ჩააქსოვეს, მაგრამ იგი საგრძ-ნობი კომპესაციის გარეშე დაამ-თავრეს. ხუთი ქულა, რომელიც მათ აქტივში ჰქონდათ მეორე ნა-ხევრის წინ, სულ იოლად შეიძლე-ბა გამქრალიყო და მაშინ გუნდს დაკარგული ენერგიის მეტი აღა-რაფერი რჩებოდა.

რა ობიექტური პირობებით იყო გამოწვეული რიგელთა დამარცხე-ბის გარდუვალობა? პირველ ყოვ-ლისა „დინამოს" კოლექტიური სუ-ლისკვეთებით და ანსამბლის წევრ-თა ერთსულოვნებით. დიდი ხანია „დინამო" ჩვენ არ გვინახავს ისე მონოლითურად შეკრული, რო-გორც ეს ამ შეხვედრაში იყო. ყვე-ლას ჰქონდა თავისი ადგილი ან-სამბლში, ყველას ჰქონდა თავისი კონკრეტული ამოცანა, მექანიზმი მუშაობდა მთელი დატვირთვით (მართალია, ზოგ შემთხვევაში შეც-დომებითაც) და მეთოდურად უახ-ლოვდებოდა გამარჯვების ზღვარს.

იგი გაცილებით ადრე მოვიდა, ვიდრე ამას ალბათ თვით ა. გო-მელსკი ელოდა. დაახლოებით 30-ე წუთიდან შეხვედრის ბედი ფაქ-ტიურად გადაწყდა და მას უკვე ვე-რაფერი ვერ შეცვლიდა, რადგან მოვლენათა მსვლელობა თავის ლოგიკურ დასკვნას უახლოვდე-ბოდა. „დინამომ" მოიგო შეხვედრა 15-ქულიანი განსხვავებით (69:54) და ამით ჩამოიცილა ერთი სერიო-ზული მეტოქე საპრიზო ადგილი-სათვის ბრძოლის გზაზე.

მეორე წრის პირველი შეხვედ-რით თბილისელი სპორტისმოყვა-რულები კმაყოფილნი უნდა იყვ-ნენ; რადგან მათ რესპუბლიკის უძ-ლიერესი გუნდი თავის საუკეთესო ვარიანტში ნახეს. პირველ რიგში ქების ღირსია გ. მინაშვილი, რო-მელმაც ამ დღეს უნაკლო თამაში აჩვენა. იგი იყო გუნდის წამყვანი ძალა და მისი მტკიცე ორგანიზა-ტორი — კაპიტანი. კოლექტივის სხვა წევრებთან ახლო კონტაქტში მან ბრწყინვალედ შეასრულა მე-ბრძოლი გუნდის ხელმძღვანელის საპასუხისმგებლო როლი.

დიდი და ნაყოფიერი მუშაობის ჩატარება მოუხდა ი. ხაზარაძეს — ამ საპატიო გამარჯვების ერთ-ერთ ავტორს. მონდომების მაქსიმუმი და ბრძოლისუნარიანობა იგრძნო-ბოდა მის თამაშში ყველა 40 წუ-თის მანძილზე. მაგრამ ამ უდაოდ ნიჭიერ კალათბურთელს მაინც აქვს სასაყვედურო, რაც ერთი და ორი დღის ამბავი არ არის. ხაზა-რაძის თამაშს აკლია ტექნიკური დახვეწილობა, სიწმინდე, რაც ზო-გიერთ შემთხვევაში მას არახელ-საყრელ მდგომარეობაში აყენებს. კალათბურთის თამაში დღეს ისეთ სიმაღლემდეა ასული, რომ ტექნი-კის გარეშე გადამწყვეტი სიტყვის თქმა თითქმის შეუძლებელია. ი. ხა-ზარაძემ ანგარიში უნდა გაუწიოს ამას.

თბილისის „დინამოს" და რიგის არმიელთა გუნდების თამაში უმე-ტესად ი. კრუმინშ - ა. ლეჟა-ვას დუეტზეა დამოკიდებული. ის, ვინც იგებს „ბრძოლას უმაღლეს დონეზე", იგებს თამაშსაც. უკა-ნასკნელ ხანებში გამარჯვების სას-წორი უფრო მეტჯერ ლეჟავას მხარეს იხრება. ამბობენ კრუმინში ვერ თამაშობს ქართველი გიგანტის წინააღმდეგო. ეს ალბათ მართა-ლია, ყოველ შემთხვევაში კვირის მატჩში უპირატესობა აშკარად ლე-ჟავას მხარეს იყო. და მაინც მის მიმართაც გვაქვს რამდენიმე შე-ნიშვნა.

თანამედროვე კალათბურთი დღეს წარმოუდგენელია სისწრა-ფის გარეშე. ტემპი, მოძრაობა და მანევრირება წარმატების მთავა-რი კომპონენტებია. ლეჟავა ამ მხრივ დისონანსშია გუნდის საერ-თო რიტმთან. ჩვენ რა თქმა უნდა, მას არ ვთხოვთ მანევრირების ისეთ დონეს, როგორსაც ვთქვათ მინა-შვილს ან ინწკირველს, მაგრამ სისწრაფის ელემენტების გარ-კვეული გაზრდა მასაც შეუძლია და ეს დღეს ლეჟავას მთავარი საზრუნავი უნდა გახდეს.

როგორც ყოველთვის, ცეცხლო-ვანი იყო გუნდის ვეტერანის ლ. ინწკირველის თამაში, რომელმაც სწორი გზა მოუნახა თავის ინდი-ვიდუალურ შესაძლებლობებს და ჰარმონიულ კონტაქტში ჩაუყენა იგი ანსამბლის საერთო ინტერე-სებს. შესაძლებლობაზე გაცილე-ბით დაბლა თამაშა ვ. ალტაბერ-გმა. მან მთელი თამაშის მანძილზე ადგილი ვერ მონახა გუნდში და მწვრთნელმა იგი ... გამოიყვანა თამაშიდან. უფერული იყო ამ დღეს ვ. უგრეხელიძის თა-მაშიც.

• • •

პრეტენზიები გვაქვს სპორტის სასახლის ადმინისტრაციის მიმარ-თაც. საბჭოთა კავშირში არც ერთი პირველობა, არც ერთი ამხანაგუ-რი შეხვედრა არ ტარდება სადე-მონსტრაციო ტაბლოს გარეშე. რა-ტომ უნდა წარმოადგენდეს გამო-ნაკლისს ჩვენი სპორტის სასახლე, რომელიც სხვა მხრივ იდეალურ პირობებს უქმნის მაყურებელს? სასურველი იქნება აგრეთვე თუ კა-ლათბურთის სათამაშო მოედანს გამოვყოფთ მკვეთრი ფერით მოედ-ნის საერთო ფონისაგან.

**ნ. ბუზუშვილი**

• • •

გასულ კვირას მოსკოვში გაი-მართა კალათბურთელთა საკავში-რო პირველობის ერთ-ერთი კალენ-დარული შეხვედრა. თამაშობდნენ ცსკა-სა და მოსკოვის „დინამოს" გუნდები.

მატჩი მოიგეს „დინამოს" კალათ-ბურთელებმა — 76:72. არმიელმა სპორტსმენებმა პირველი დამარც-ხება განიცადეს მიმდინარე სე-ზონში.

• • •

**სურათებზე:** (ზემოთ) დინამოე-ლი გ. მინაშვილი ამთავრებს შეტე-ვას. (ქვემოთ) თბილისელთა მწვრთნელი, სპორტის დამსახურე-ბული ოსტატი ო. ქორქია რჩევა-დარიგებას აძლევს გუნდის წევ-რებს წუთშესვენების დროს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.



# საფეხბურთო მიმოხილვა



## სსრ კავშირის თასზე

თასის გათამაშებას ფეხბურთში, როგორც წესი, თან სდევს ხოლმე სიურპრიზები. ერთ-ერთი ასეთი სიურპრიზი იყო მოსკოვის „სპარ-ტაკის" და ტაშკენტის „სტარტის" პირველი მატჩი, რომელიც დამატე-ბითი დროის მიუხედავად დამ-თავრდა ფრედ—0:0. მხოლოდ გან-მეორებით შეხვედრაში შეძლეს მოსკოველებმა გამარჯვების მოპო-ვება — 2:0.

კიდევ უფრო დიდ მოულოდნე-ლობას წარმოადგენს მოსკოვის დინამოელთა დამარცხება „ბ" კლა-სის ერთ-ერთი წარმომადგენლის — სტალინოგორსკის „ხიმიკისაგან" — 0:2.

თასისათვის მებრძოლ გუნდებს გამოაკლდა ერევნის „სპარტაკიც", რომელმაც ანგარიშით 1:3 წააგო შეხვედრა როსტოვის არმიელებ-თან.

მოსკოვის „ლოკომოტივს" მატ-ჩი ჰქონდა ქ. ვოლჟსკში ადგილობ-რივ „ენერგიასთან". გაიმარჯვეს მოსკოველებმა — 5:1.

## „ბ" კლასში

◆

### „რიწა" (სოხუმი)-„ხიმიკი" (მოგილიოვი) — 4:0

20 აგვისტოს სოხუმში შედგა მატჩი საკავშირო პირველობაზე ფეხბურთში. თამაშობდნენ „ბ" კლასის მოკავშირე რესპუბლიკათა I ზონის გუნდები — სოხუმის „რიწა" და მოგილიოვის „ხიმიკი".

მოგილიოვის გუნდი ერთ-ერთი უძლიერესია ზონაში და გათამაშე-ბის ლიდერთა შორის იმყოფება. გარდა ამისა, „ხიმიკმა" პირველ წრეში მოუგო „რიწას" (2:0), ამი-ტომ გასაგებია ის დიდი ინტერესი, რომელიც სოხუმელმა ფეხბურთის მოყვარულებმა გამოიჩინეს აღნი-შნული მატჩის მიმართ.

მოლოდინი მთლიანად გამართ-ლდა, მატჩი დაიწყო სწრაფ ტემპ-ში, ხშირი ორმხრივი იერიშებით. სოხუმელებმა აქტიური, შეთანხმე-ბული თამაშის შედეგად შეძლეს ინიციატივის ხელში აღება და 30-ე წუთზე გახსნეს კიდეც ანგარიში: ფიფია სწრაფად გავიდა მარჯვენა ფლანგზე და ძლიერი დარტყმით გაგზავნა ბურთი კარში — 1:0.

მეორე ტაიმის მე-15 წუთზე ფი-ფიამ გადაინაცვლა ცენტრში, მოა-ტყუა რამდენიმე მცველი, წინ გა-მოსული მეკარეც და ანგარიში ორამდე გაზარდა.

ამის შემდეგ სოხუმელები მთლი-ანად დაეპატრონენ მინდორს, მათი იერიშები ზედიზედ მოსდევდა ერთმანეთს და „ხიმიკის" წინააღმ-დეგობა სულ უფრო-და-უფრო კარ-გავდა ეფექტს „რიწის" თავდამსხ-მელმა მინჯიამ მატჩის დასასრუ-ლამდე კიდევ ორი ბურთი გაიტანა სტუმრების კარში და სოხუმელებ-მა გამარჯვებულებმა დატოვეს მინ-დორი — 4:0.

განვლილმა მატჩმა კიდევ ერთ-ხელ ცხადყო სოხუმის „რიწის" დი-დი პოტენციური შესაძლებლობანი. გუნდმა საუკეთესო შთაბეჭდილება დატოვა მაყურებლებზე.

**ზ. გვილავა**

* * *

**ყარაგანდა.** 20 აგვისტო. აქ შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ" კლასის მოკავშირე რესპუბლიკათა II ზონის გუნდებს შორის. გათა-მაშების ერთ-ერთმა ლიდერმა — ყარაგანდის „შახტიორმა" თავის მინდორზე მიიღო რუსთავის „მე-ტალურგი".

მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

### გოლი გაიტანა გ. სიჭინავამ

ამ დღეებში ქ. ჩესკე-ბუდეიო-ვიცში (ჩეხოსლოვაკია) შედგა ამ-ხანაგური საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში. თამაშობდნენ სსრ კავ-შირისა და ჩეხოსლოვაკიის ნორჩ ფეხბურთელთა ნაკრები გუნდები.

მატჩი, როგორც ცნობილია, მოი-გეს საბჭოთა ფეხბურთელებმა — 2:1. პირველი ბურთი ჩეხების კარში გაიტანა თბილისის დინა-მოელმა გ. სიჭინავამ, რომელიც მარცხენა შუამარბად თამაშობდა ნაკრებში.

### „ფიორენტინა" — „დინამო" (კიევი)

იტალიაში სტუმრად მყოფმა კი-ევის „დინამოს" ფეხბურთელებმა ქ. ფლორენციაში გამართეს მეორე ამხანაგური მატჩი იტალიის ერთ-ერთ ცნობილ პროფესიონალურ გუნდთან — „ფიორენტინასთან".

კიეველებმა მოიპოვეს გამარჯვე-ბა ანგარიშით 2:1.

• • •

### „რაპიდი"-ცსკა

ავსტრიაში ამხანაგური შეხვედ-რების ჩასატარებლად იმყოფება ცსკა-ს ფეხბურთელთა გუნდი.

პირველი მატჩი, როგორც ცნო-ბილია, არმიელებმა მოუგეს ავსტ-რიის ჩემპიონს — „ავსტრიას" ან-გარიშით 3:1. მეორე შეხვედრა მო-სკოველებს ჰქონდათ ვენის ცნო-ბილ კლუბ „რაპიდთან". მატჩი მოიგეს ავსტრიელებმა — 4:0.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მ. ტოგონიძის ორი გამარჯვება

იალტა. (ჩვენი სპეც. კორ.). აქ საზეიმოდ გაიხსნა საბჭოთა კავშირის მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატის იალტის ნახევარფინალური ტურნირი. კენჭისყრის შემდეგ სატურნირო ცხრილი ასე გამოიყურება: 1. სტრანდსტრემი (მოსკოვი), 2. შპიკენე (ვილნიუსი), 3. ლიაპუნოვა (ერევანი), 4. ლომოვატსკაია (ლენინგრადი), 5. მიხაილოვა (ლენინგრადი), 6. იაკირი (კიევი), 7. ჩერეპანოვა (მოსკოვი), 8. საერთაშორისო ოსტატი იგნატიევა (მოსკოვი), 9. ავანესოვა (ერევანი), 10. ტიმოფეევა (პერმი), 11. ოსტატი ტოგონიძე (თბილისი), 12. მანველოვა (თბილისი), 13. საერთაშორისო ოსტატი რუბცოვა (მოსკოვი), 14. შადურა (კურსკი). ფინალში დაიშვება სამი გამარჯვებული.

I ტურში ტოგონიძემ დაამარცხა ლომოვატსკაია, სტრანდსტრემმა — შადურა, შპიკენემ — რუბცოვა, ლიაპუნოვამ — მანველოვა, მიხაილოვამ — ტიმოფეევა, იაკირმა — ავანესოვა და იგნატიევამ — ჩერეპანოვა.

II ტურში დამთავრდა მხოლოდ ხუთი პარტია. ტოგონიძემ მოუგო მიხაილოვას, მანველოვამ — ლომოვატსკაიას. რუბცოვა-ლიაპუნოვასა და იაკირ-ტიმოფეევას პარტიები ყაიმით დამთავრდა. შპიკენე დამარცხდა სტრანდსტრემთან. დანარჩენი პარტიები გადაიდო.





# გათამაშების ლიდერია თბილისელი ოსტატი

ბათუმი. (ჩვენი სპეც. კორ.). XXIX ჩემპიონატის ბათუმის ნახევარფინალის მეორე ნახევარი აღინიშნება ლიდერთა მძლავრი დაწოლით. ბაგიროვი არ მოერიდა ნიმცოვიჩის დაცვაში მოსიონჟიკის აქტივობას ლაზიერის ფრთაზე და თვითონ მწვავედ შეუტია კიშინიოველის მეფეს. მხედრის შეწირვით მან შემუსრა მოსიონჟიკის მეფის დაცვა და დაამათა იგი. ნეიმაც კომბინაციური იერიში შექმნა ანოხინის წინააღმდეგ. ესტონელმა ოსტატმა ლაზიერიც კი გაიმეტა იერიშის ძალის გაზრდისათვის. ანოხინის მეფემ ვერ გაუძლო მუქარებს და ფარ-ხმალი დაჰყარა. ყაიმით დაკმაყოფილდნენ როიზმანი და კლოვანი. პირველი გრუშევსკისთან, ხოლო მეორე — პავლენკოსთან.

გურგენიძე შეხვდა ლომაიას. გათამაშდა სიცილიური დაცვა, რომელშიც საქართველოს ჩემპიონმა გამოიყენა თამაშის საკუთარი სისტემა. პარტია სწრაფად წარიმართა გურგენიძის უპირატესობით. ჩვენს შეკითხვაზე თუ როგორ მოხდა ეს, პარტიის შემდეგ გურგენიძემ გვიპასუხა:

— ერთხელ ეს სისტემა პეტროსიანის წინააღმდეგ გამოვიყენე, გროსმაისტერმა არასწორად ითამაშა, მაგრამ მე ამით ვერ ვისარგებლე და პარტია ყაიმით დამთავრდა. ამჯერად ლომაიამ გაიმეორა პეტროსიანის შეცდომა და რაკი უკვე სათანადოდ გარკვეული ვიყავი პოზიციაში, სწრაფად მივიღე გადამწყვეტი უპირატესობა.

გაიხსნა ხაზები ლაზიერის ფრთაზე, რომელიც თეთრი ფიგურებისათვის შავების პოზიციაში შეჭრის მაგისტრალად გადაიქცა. ლომაიას გაუჭირდა დაცვა შავუჯრედოვანი კუს არყოფნის გამო და უკვე 27-ე სვლაზე შეწყვიტა თამაში.

ლიდერების „ფეხის ხმას" აჰყვნენ სხვებიც. არაქელოვმა დიდი ენერგიით ჩაატარა პარტია ჰალილბეილისთან. მან ზედიზედ ორი ეტლისა და მსუბუქი ფიგურის შეწირვით მოხდენილად მოაქცია საშამათო ქსელში აზერბაიჯანელი ოსტატის მეფე. ჰალილბეილი დანებდა. კალანტარმა მოუგო პრესს, უსტინოვმა — ზახარიანს.

ბუსლაევმა კარგად გაითამაშა ლაზიერის გამბიტი გიპსლისთან. მაგრამ, როგორც არა ერთხელ ამ ტურნირში, 37-ე სვლაზე ალამი ჩამოუვარდა და წაგება მიესაჯა.

გადადებული პარტიების დამთავრების დღეს თამაშობდა მხოლოდ გურგენიძე, რომელსაც სამი პარტია დაუგროვდა.

იგი პირველად შეხვდა პავლენკოს. ეტლების დაბოლოებაში გურგენიძემ ფორსირებული მოგება მონახა და მეხუთე გამარჯვება ჩაიწერა სატურნირო ცხრილში.

მოსიონჟიკთან მხედრების ენდშპილში გურგენიძემ ვერ მონახა მოგების უმოკლესი გზა. კიშინიოველს მიეცა ყაიმის შანსები, მაგრამ მან ვერ მოახდინა მათი რეალიზება. გურგენიძემ ამ პარტიის მოგებაც შეძლო.

მესამე პარტიაში ზახარიანთან შედარებით ადვილი მოგება იყო, რადგან გურგენიძეს ზედმეტი პაიკი ჰქონდა. მალე ზახარიანმაც შეწყვიტა წინააღმდეგობა.

X ტურის შემდეგ გურგენიძეს 8,5 ქულა აქვს, ბაგიროვს, გიპსლისს, კლოვანს, როიზმანსა და ნეის — 7 ქულა თვითეულს, მოსიონჟიკს — 6,5 ქულა.

დღეს გაიმართება XI ტური.



☆

ალბერტ აზნაურიანი (სომხეთი), ჭემალ ფრიდონიშვილი (საქართველო) და იური ტანურინი (უკრაინა) პროფკავშირთა საკავშირო სპარტაკიადის პრიზიორები არიან ტაიჭზე ვარჯიშში. ზედა სურათზე აღბეჭდილია სამივე ეს სპორტსმენი პრიზების მიღების შემდეგ.

ქვევით — ჭ. ფრიდონიშვილი ამთავრებს ვარჯიშს ტაიჭზე.

ფოტო ვ. ტუტოვისა.

☆

# ბ. გურგენიძე – ა. გრუშევსკი

ესპანური დაცვა

⊙

1. e4 e5 2. მf3 მc6 3. კb5 a6 4. კa4 d6 5. c3 კd7 6. d4 მge7 7. d5 მb8 8. c4

თამაშის ეს სისტემა გურგენიძეს ღრმად აქვს დამუშავებული და ხალისით იყენებს მას. თეთრების მიზანია: თეთრუჯრედოვან კუთა გაცვლა, მეფის ფრთაზე შავების კონტრთამაშის ჩახშობა და შეტევა ლაზიერის ფრთაზე.

8. ... g6 (უმჯობესი იყო 8.... მg6, 9.... კe7 ძალთა სწრაფი მობილიზაციით) 9. მc3 კg7 10. h4 h6?

სერიოზული შეცდომა. აუცილებელი იყო 10.... h5. შემდგომში a6—a5, მb8—a6—c5 და მc7—g8—f6 დაცვის ორგანიზაციით. ახლა შავების ბანაკში გურგენიძე ჰქმნის განუკურნებელ სუსტ უჯრებს, რომლებზეც ამკვიდრებს თავის მხედრებს.

11. h5 g5 (თუ 11.... მg8, მაშინ 12. მh4 ლf6 13. კe3) 12. კ:d7+ ლ:d7 13. მh2 f5 (13.... a5-ს მოჰყვებოდა 14. g4 და მh2—f1—g3—f5 სრული უპირატესობით) 14. ef ლ:f5

უკეთესი იქნებოდა 14.... მ:f5. თუ 15. მe4 0—0 16. g4 მd4 17. კe3 a5 18. მg3 ეf4! თუ 16. კe3 a5 17. მg4 მa6 არის დაცვის რესურსები, თუმცა თეთრების პოზიცია კვლავ უკეთესი რჩება. გაკეთებულ სვლას მოსდევს თეთრების ჭარბი უპირატესობა.

15. g4 ლd7 16. მc4 b5

გრუშევსკი მიხვდა, რომ წააგო ბრძოლა ცენტრისათვის. ახლა იგი ეძებს ტაქტიკურ გართულებებს ლაზიერის ფრთაზე.

17. b3 a5 18. a4 bc 19. bc მa6 20. მf1 ეb8 21. კa3 (არ უშვებს მხედარს c5-ზე) 21.... 0—0 22. მe3 მb4 23. 0—0 ეf4 24. f3.

თეთრებმა განახორციელეს თავიანთი სტრატეგიული გეგმის ორი ნაწილი. დადგა დრო მესამე ნაწილის ცხოვრებაში გატარებისა. მაგრამ შავები არ აცლიან მათ და თვითონ იწყებენ ოპერაციებს ამავე ფრთაზე, რითაც უადვილებენ საქმეს თეთრებს.

24.... c6 (რატომ არა 24.... c5, თუ კი არ აშინებთ 22. dc?) 25. მფg2 (25. dc-ს მოსდევდა 25.... მc:c6 26. ლ:d6 ლ:d6 27. მ:d6 მd4 გარკვეული კონტრთამაშით) 25....c:d (უკეთესი ჩანს 25.... c5 თამაშის ჩაკეტვით. თეთრებს მოუხდებოდათ სიძნელეების გადალახვა უპირატესობის რეალიზაციისათვის) 26. მ:d5 მ:d5 27. cd ეff8 28. ეb1 ეfc8 29. კ:b4 ab 30. ლb3.

გურგენიძეს უკეთესი მხედარი ჰყავს კუს წინააღმდეგ. ამასთან შავების პაიკები b4 და d6 სუსტნი არიან, ხოლო თეთრების a პაიკი გამსვლელია. ქართველი ოსტატი ამ უპირატესობას დამაჯერებლად იყენებს.

30.... ლc7 31. ეf2 კf8 32. ეa2 ლc4 33. a5 ლa6 34. ლa4 ლb5 (მუქარა იყო ლd7) 35. a6 b3 36. a7! ლ:a4 37. ე:a4 ეa8 38. ე:b3 ეc7 39. ე3a3 ეb7 40. მd2 კe7 41. მc4 კd8 42. ეa6 შავები დანებდნენ.

შენიშვნები თ. გიორგაძისა

# იტალიის ჩემპიონატი დაიწყება 27 აგვისტოს

იტალიაში მთავრდება სამზადისი ახალი, 1961-62 წლების საფეხბურთო ჩემპიონატისათვის. გათამაშებაში 18 გუნდი მონაწილეობს. ესენი არიან „იუვენტუსი" (ტურინი), „ფკ მილანი", „ინტერნაციონალე" (მილანი), „სამპდორია" (გენუა), „აკ. რომა", „პადუა", „ფიორენტინა" (ფლორენცია), „აკ. კატანია", „ფკ. ბოლონია", „ატალანტა" (ბერგამო), „ლანეროსი" (ვიჩენცა), „ფკ. ტორინო", „სპალი" (ფერარა), „უდინეზე", „ბარი" და მეორე ლიგიდან გასული „პალერმო", „მანტუა" და „ვენეცია".

ახალი ჩემპიონატის წინ გამოქვეყნდა იტალიის ფეხბურთის ფედერაციის დადგენილება, რომელიც ზღვარს უდებს გაუთავებელ ვაჭრობას უცხოელი „ვარსკვლავებით". საქმე იმაშია, რომ აქამდე კლუბებს ნება ჰქონდათ ყოლოდათ უცხოელი მოთამაშეების განუსაზღვრელი რაოდენობა, ფედერაციის ახალი დადგენილებით გუნდებს საერთოდ ეკრძალებათ თავიანთ შემადგენლობაში ორ უცხოელზ[...]ტის ყოლა.

ამ თავისებურმა „ინფლ[...] დიდი აურზაური გამოიწვ[...] აქამდე რამდენიმე კლუბის ძ[...] სწორედ უცხოელები წარმოა[...]დნენ, დღეს მათ უხდებათ რამ[...]ნიმე მათგანის განთავისუფლებ[...]ლონისძიებით სარგებლობენ I[...] II ლიგის შედარებით ღარ[...] კლუბები და „ჩალის ფასად" [...]დულობენ უცხოელ მოთამაშ[...] ეს დადგენილება განსაკუთრებ[...] საზარალოა „ფიორენტინას", „[...]ლონიას", „რომასა" და სხვა გ[...]დებისათვის, რომლებიც ძირ[...]დად უცხოელებით არიან დაკ[...]ლექტებულნი.

## პირველ ადგილზე

დიუსელდორფში (გერმანიის ფედერალური რესპუბლიკა) დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი. ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ინდოეთის ჩემპიონი კრიშნანი და ავსტრალიის ერთ-ერთი უძლიერესი ჩოგბურთელი ფილიპსი. „ფავორიტად" ითვლებოდა ავსტრალიელი, მაგრამ მან მარცხი განიცადა — 1:6, 2:6.

რედაქტორი ი. უგულავ[...]


დღეს!

„ბურევესტნიკის" სტადიონ[...]

საკავშირო პირველობა

„ბ" კლასი

ფეხბურთი

„ლოკომოტივი" (თბილის[...]

„ლოკომოტივი" (გომელ[...]

დასაწყისი 18 ს. 15 წ.



გაზეთი გამოდის ხამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორის — 3-89 62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, გამომშვების — 3-01-96.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 01117